ავტობიოგრაფია

მარინა ადამია

საკონტაქტო დეტალები

ელ-ფოსტა: m.adamia@iliauni.edu.ge |

მოკლე ბიოგრაფია

მარინა ადამიამ მუსიკის წერა ადრეული ასაკიდან დაიწყო. მისი პირველი მასწავლებელი ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, ნოდარ მამისაშვილი გახლდათ.

სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მარინამ სწავლა ჯერ თბილისის, შემდგომ კი მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში წამყვან კომპოზიტორებთან, თავისი თაობის ორ გამორჩეულ კომპოზიტორ, ნიკოლაი სიდელნიკოვსა და ედისონ დენისოვთან განაგრძო.

1991 წელს მარინა საცხოვრებლად შოტლანდიაში (დიდი ბრიტანეთი) გადავიდა, სადაც სწავლა ედინბურგის უნივერსიტეტის მუსიკის სადოქტორო პროგრამაზე, ცნობილი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ნაიჯელ ოსბორნის ხელმძღვანელობით გააგრძელა. აქვე დაიცვა სადოქტორო ხარისხი (PhD).

ბრიტანეთში მარინა მუშაობდა როგორც თავისუფალი (freelance) კომპოზიტორი და ედინბურგის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის ლექტორი. დიდ ბრიტანეთში ცხოვრების 17 წლის მანძილზე მარინა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა - ქმნიდა მუსიკას ბრიტანეთისა და ევროპის სხვადასხვა სოლო შემსრულებლის, ანსამბლისა თუ ორკესტრისთვის.

მარინას საკომპოზიტორო შემოქმედება მრავალფეროვანია. მისი ნაწარმოებები სრულდება ისეთი ცნობილი ანსამბლების და სოლო შემსრულებლების მიერ, როგორიც არიან BBC Scottish Symphony Orchestra, Scottish Chamber Orchestra, The Endymion Ensemble, The Emperor Quartet, The Edinburgh Quartet, The NKG Ensemble, The One Voice Ensemble, ალექს ტეილორი, მაია ნარიმანიძე, კოლინ გინგსლი, დიი აიზეეკსი და სხვები. მარინას დამკვეთებს შორის არიან ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი, შოტლანდიის ხელოვნების საბჭო, Almeida თეატრი და სხვები. მარინას, ქორეოგრაფ ნორმან დაგლასისა და ანიმატორ ჯესიკა ლანგფორდის ერთობლივმა ნამუშევარმა შემოქმედებითი შოტლანდიის ჯილდო მიიღო.

საქართველოში დაბრუნებისას (2006) მარინამ პროფესორ ნინო მამრაძესთან ერთად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრი დაარსა. 2008 წლიდან 2023 წლამდე მარინა ამ ცენტრის დირექტორი, ხოლო ამავე წლიდან დღემდე - მისი ლექტორია. მისი ინიციატივით პირველად საქართველოში სწავლების უმაღლეს საფეხურებზე დაიწყო ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის, ჯაზის, პოპ-მუსიკის, მსოფლიოს ხალხთა და ძველებური მუსიკის სწავლება.

1990-იან წლებში მარინას ხელმძღვანელობით საქართველოში საქველმოქმედო ორგანიზაციის, War Child-ის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, ბოსნიის ომში მიღებული უზარმაზარი გამოცდილებით. მათი მიზანი აფხაზეთის ომით ტრავმირებულ და ქუჩის ბავშვებთან მუშაობა იყო, რაც მთელი დეკადის მანძილზე გაგრძელდა. ამავე წლებში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები გაეცვნენ

გრემის თემს, რომელთანაც დღესაც თანამშრომლობენ. War Child-ის მიერვე მოხდა მთელი რიგი ქართველი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის სათემო მუსიკასა და მუსიკის თერაპიაში ტრენინგი.

მარინას მიზანი საქართველოში არსებული საუკეთესო სამუსიკო ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად მუსიკის ახალი დარგების დანერგვა და განვითარებაა. მის ამჟამინდელ მისწრაფებებში ჩვენს ქვეყანაში სათემო მუსიკისა და მუსიკის თერაპიის სასწავლო პროგრამების დანერგვა და ხელშეწყობაა.

სამუშაო გამოცდილება

2008 – დღემდე

პროფესორი, ლექტორი |ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

- მუსიკის სწავლება საბაკალავრო საფეხურზე
- სუპერვაიზინგი სადოქტორო საფეხურებზე
- საბაკალავრომ სადოქტორო და სასერტიფიკატო კურსების შექმნა, განვითარება და სწავლება
- შემოქმედებითი კვლევა
- სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო / შემოქმედებით პროექტში მონაწილეობა.

2008 – 2023-მდე

მუსიკის ცენტრის დირექტორი | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

- მუსიკის სწავლების კონცეფციის შემუშავება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე
- მუსიკის ძირითადი და დამატებითი პროგრამების შემუშავება და განვითარება
- მუსიკის ცენტრის აკადემიურ, საკადრო და მატერიალური ბაზის განვითარებაზე ზრუნვა
- კონცერტების, თემატური პროექტების და ვორქშოფების ორგანიზება და ხელმძღვანელობა
- პედაგოგთა კოლექტივის ხელმძღვანელობა.

2010 – 2011

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

- სასწავლო პროგრამების საერთო სტრატეგიის ჩამოყალიბება
- პროგრამების და კურსების შინაარსის განსაზღვრა
- აკადემიური პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარება
- შიდა სასწავლო პრინციპების და პროცედურების განსაზღვრა
- სტრატეგიული დოკუმენტაციის შექმნა
- კურიკულუმის ექსპერტების ჯგუფის ხელმღვანელობა

2006-2008

აკადემიური მრჩეველი, კომპოზიციისა და თეორიის განყოფილების გამგე, ლექტორი | ზ. ფალიაშვილის სახელობის 1-ლი სამუსიკო სასწავლებელი (ნიჭიერთა ათწლედი“, თბილისი, საქართველო)

- სასწავლებლის აკადემიური პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობა
- კომპოზიციისა და თეორიის განყოფილების სასწავლო პროგრამების რეფორმის გატარება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით

- კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობით სამუსიკო განათლებაზე და შესაბამისი კანონმდებლობის განვითარებაზე მუშაობა
- პედაგოგთა გუნდის ხელმძღვანელობა
- კომპოზიციის სწავლება

1992-2006

ლექტორი | უნივერსიტეტი, ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი

- სწავლება საბაკალავრო საფეხურზე
- სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების სუპერვაიზინგი
- მუსიკის ფაკულტეტის აკადემიური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

1992-2006

თავისუფალი კომპოზიტორი | ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი

- სხადასხვა სოლო არტისტების, ანსამბლების, ორკესტრების, ორგანიზაციების დაკვეთით მუსიკის შექმნა
- კონბცერტებში, კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეობა.

1985-1989

თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი | ახალციხის დრამატული თეატრი, ახალციხე, საქართველო

- დრამატული სპექტაკლების მუსიკალური გაფორმება

1983-1990

მუსიკის თეორიის მასწავლებელი | თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის #1 სამუსიკო სასწავლებელი

- მუსიკის თეორიის და ფუნქციონალური ჰარმონიის სწავლება

1981 – 1983

ასისტენტ-ლექტორი | პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია, მოსკოვი, რუსეთი

- დასავლეთევროპული პროფესიული მუსიკის ისტორიის და ფუქნციონალური ჰარმონიის სწავლება

განათლება

1991 – 1997

ედინბურგის უნივერსიტეტი | ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი

PhD: კომპოზიცია

სუპერვაიზორი: პროფესორი ნაიჯელ ოსბორნი

1978 – 1983

პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია | მოსკოვი, რუსეთი

დიპლომი: კომპოზიცია და მუსიკის თეორია

1972 – 1976

მ. ბალანჩივაძის სახელობის №3 სამუსიკო სასწავლებელი, თბილისი

ფორტეპიანოს და მუსიკის თეორიის ფაკულტეტი

დიპლომი

პუბლიკაციები (რჩეული)

- მარინა ადამია. Homage კლარნეტის, ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის. დამკვეთი: Pendulum Series, Edinburgh. შესრულება: სანკტ-პეტერბურგის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "From the Avant-garde to the Present Day. Continuation 4", სანკტ-პეტერბურგი, შერემეტიევოს სასახლე, 2015.
- მარინა ადამია, 5 პიესა ფორტეპიანოსთვის. 12-12 ქართველი და გერმანელი ქალი კომპოზიტორების თანამედროვე საფორტეპიანო მუსიკა (კომპაქტ-დისკით). "არტსფერო", საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისი, 2014.
- მარინა ადამია, At the Still Point of the Turning World ჩელოს, ფორტეპიანოსა და დასარტყამი საკრავებისთვის. დამკვეთი: შოტლანდიის ხელოვნების საბჭო. შესრულება: ძთბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი, თბილისი, 2014.
- მარინა ადამია. Homage კლარნეტის, ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის. დამკვეთი: Pendulum Series, Edinburgh. შესრულება: The Artisan Trio, Queen's Hall, ედინბურგი, 2013.
- მარინა ადამია, Reflections in the Mirror. New Music for Scotland: Music for the Adventurous (CD); recorded at the Queens Hall, Edinburgh, February 4, 2008.
- მარინა ადამია. The Birth of Enkidu სიმფონიური ორკესტრისთვის (მე-2 რედაქცია). დამკვეთი: BBC. შესრულება: BBC Scottish Symphony Orchestra, დირიჟორი კლემენტ ფაუერი, City Halls, გლაზგო, 2008.
- მარინა ადამია. In sooth I know not why I'm so sad, მულტიმედია კომპოზიცია. დამკვეთი: შოტლანდიის ხელოვნების საბჭო. შესრულება: Norman Douglas and Co, ბერლინი; დრეზდენი, 2005-2006
- მარინა ადამია. Vestigia სიმებიანი კვარტეტისათვის. დამკვეთი: ედინბურგის თანამედროვე ხელოვნების ფონდი (ECAT); შესრულება: Emperor Quartet, Queen's Hall, ედინბურგი, 2003 / Marina Adamia, Vestigia. ECAT: Music for the Adventurous (CD); recorded at the Queens Hall, Edinburgh, December 9, 2003.
- Marina Adamia, Penumbra. Hebrides Ensemble (CD); recorded at Greyfriars Kirk, January 24, 2003.
- მარინა ადამია. The Little Drummer Boy, მულტიმედია კომპოზიცია (სიმფონიური ორკესტრის და პანტომიმისთვის). დამკვეთი: ედინბურგის St Mary's Music School. შესრულება: წმ მერის სპეციალური სამუსიკო სკოლის ორკესტრი, დირიჟორი ჯონ გრუნდი. Greyfriars Kirk, ედინბურგი; St Mary's Parish Church, ჰადინგტონი, 2003
- მარინა ადამია. Penumbra კლარნეტის, ალტის, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის. დამკვეთი: შოტლანდიის ხელოვნების საბჭო. შესრულება: Hebrides Ensemble. Greyfriars Kirk,

ედინბურგი; Cowdray Hall, აბერდინი; South Room, გორდონზთაუნ, Music Club, სენთ-ენდრიუზ, 2002

- მარინა ადამია. At the Still Point of the Turning World, მულტიმედია კომპოზიცია (მუსიკა, ანიმაცია და ცეკვა). დამკვეთი: შოტლანდიის ხელოვნების საბჭო; შემოქმედებითი შოტლანდიის ჯილდო. შესრულება: დი აიზექსი, პიტერ ევამზი და ჯონ ფოულთერი. Tron Theatre, გლაზგო (2001); Norman Douglas and Co, თანამედროვე ბალეტის ფესტივალი, ვერონა, 2002
- მარინა ადამია. A 'Choille Luaineach (The Restless Wood). დამკვეთი: შოტლანდიის კამერული ორკესტრი (SCO). შესრულება: შოტლანდიის კამერული ორკესტრი (SCO) და SLYMM ორკესტრი, დირიჟორი სტივენ დიზლი. Portree Community Centre, სქაი, 2001
- მარინა ადამია. Gravity სიმებიანი ტრიოსთვის. დამკვეთი: ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი. შესრულება: ქათრინ გრილი, მაირი ქემფბელი და რობინ მეისონი. Traverse Theatre, ედინბურგი; Tramway Theatre, გლაზგო; macRobert Hall, სტერლინგი; Brunton Theatre, მასელბორო; Howden Park Centre, ლივინგსტონი, 2000

გრანტები და ჯილდოები

- ედინბურგის თანამედროვე ხელოვნების ფონდი, დიდი ბრიტანეთი
- ედინბურგის უნივერსიტეტის კამერული ორკესტრი, დიდი ბრიტანეთი
- One Voice ანსამბლი, დიდი ბრიტანეთი
- ედინბურგის სიმებიანი კვარტეტი, დიდი ბრიტანეთი
- ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი, დიდი ბრიტანეთი
- შოტლანდიის კამერული ორკესტრი, დიდი ბრიტანეთი
- შოტლანდიის ხელოვნების საბჭო, დიდი ბრიტანეთი
- Hebrides ანსამბლი, დიდი ბრიტანეთი
- წმ მერის სამუსიკო სკოლა, დიდი ბრიტანეთი
- ედინბურგის თანამედროვე ხელოვნების ფონდი, დიდი ბრიტანეთი
- შოტლანდიის ხელოვნების საბჭო, დიდი ბრიტანეთი
- BBC შოტლანდიის ორკესტრი, დიდი ბრიტანეთი
- შემოქმედებითი შოტლანდიის ჯილდო, დიდი ბრიტანეთი.

მიმდინარე პროექტები

- 2023: ა(ა)იპ ფოლკლორული საქართველოს პროექტი „აზერბაიჯანული თემის ინტეგრაციის ხელშეწყობა ტრადიციული მუსიკის კვლევის და ეთნომუსიკოლოგიურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობის გზით".
- 2023: Erasmus+ Programme /KA107 სერბიის University of Kragujevac განათლების ფაკულტეტის პროექტი „Learning Songs in Teaching Music - A selection of songs and methodological approach to singing by ear".

დამატებითი ინფორმაცია

- ედინბურგის უნივერსიტეტის საპატიო წევრი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი და დიდი ბრიტანეთის საშემსრულებლო უფლებების საზოგადოების წევრი.
- თავისუფლად ფლობს ორ უცხო ენას - ინგლისურს და რუსულს. კომპიუტერულ პროგრამებს, მათ შორის სიბელიუსს. განსაკუთრებული ინტერესის სფეროებია ძველი ჩინური და იაპონური პოეზია, სახვითი ხელოვნება, იაპონური კინო, სამხრეთ კორეული დრამა და პოპ-მუსიკა (K-Drama, K-Pop), ცხოველები.